გ ი ს, ს უ დ ხ ა ნ ს *), და მაძაგლთა თქვენთა მას ჯამსა, ოდეს ჩვენის ძმის ჳ ა ვ უ ა ს გალა ბეერი დაგეგლვა. სხვა დრე არა მჭონდა და სხვის მამულის გასვედვის კისეც ვარჩე, ამითი დაგეგჭირა და მოგეადეო ბატონის ხაბის ჩვენისგან შენებული სასახლე, რომე ჩვენ დაგვრჩა ბაძის ჩვენის, ბატონის ჳ ა ვ უ ნ ა ს, სახლიდამ ბატონის ს ი დ ხ ი ს სახლებამდინ, კუხა ხომე თქვენი არის, თქვენის სასახლემდინ, ბატონის ბებაის ჩვენის საკუჭნაოთა, რომე ახლა მარნად გექონდა, უკან რაც დობე გდებია და წინ რაც დობე გდებია, ან დღეს ვალია, მიკან ხატარის ბადითა, ცეცხვის ქვეყრების ადგილიც თქვენთვინ მოგეადებია, და ბატონის ხაბის ჩვენის მარნები საძმოდ გასაფოდ არის. ესეები თავის შესაფდითა და გასაფდითა მოგეადეო და ჴედეო ფასი სრული და დაუკლებელი, რამდითაც ჩვენი ეული შესჯერდებოდა. არა დარჩა რა ჩვენი თქვენისგან არცა ერთი იოტის ფასი. გქონდესთ და გაიგდებაერის დ-ან რა რაგადაც სხვათა ადგილს მონასიადს მარიებდეს, გერეო თქვენ კილეგწეიფდეს გასვედვად, გახითვად, რასაც ფერად საკმარისად. არაენ იფოს მშვიდი და მცილებელი, და უკეთუ გაშორჩნდეს ვინმე, ³ ბარისა და ხასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. არან ამისი მოწამენი და დამხდურნი ჩვენი სახლის-კაცნი სრდადი, ბატონი დეურასა □ **), ბატონი მამეკა, ბოსელი, ბატონი დომენტი [1], ბატონი ოთარი □, ბატონი რაზაზ [2], ბატონი მანუჩარ [3], მეჯინიბეთ-უხუცესი, ბატონი მზეჭაბუკ □, ეოველი ჩვენი სახლის-კაცნი, ჩვენი ებისკოპოზი, ბატონი დმანელი ეღისე □, წინამძღვარი, ბატონი იობ, ქალაქის მეფიქი, მასასახლისი თორსდან □, მამასახლისი □, თამამშეშეილი რანტომა [4],

---

*) სახელი „სულხან“ შემდეგ არის ჩამატებული სხვა ხელით და სხვა მელნით.

**) მოწმეების ბეჭედთა წარწერები ყველა არ მოგვყავს, რადგან უმეტეს შემთხვევაში განმეორება იქნებოდა მათის სახელებისა.

[1]) ბეჭედს აწერია: ტფილელი დომენტი.

[2]) ბეჭედს აწერია: მთნა ღთისა სარდრიშვილი თამაზ.

[3]) ბეჭედს აწერია: მოლარეთ უხუცესი მანუჩარ.

[4]) სომხური წარწერა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ახსნაშეგილი, მწყობარი ფრანდან +, სახლთხუცესი ბიძანა, ბოქაულთა-უხუცესი ჩაჩავაშვილი ზურაბა, ჩაჩაკაშვილი ესეი, ყაითმაზაშვილი გიორგი, სულა ჩვენი მსხურ-ახსაშვილი. მე კილეშწეთს კარის მდივან-მწიგნობარს თუშანი შვილს გვ და-მაწერია და მოწამეცა ვარ. ქვსა უე, ივნიერის ვ. ათე ვინცა და რამენც ადამის მონათესავემან, მეფემან ანუ დედოფალმან, პატრიარქმან სამღთოკანმან, უფლის-წულმან, თავადმან, დიდებულმან, ახსაშმან, დიდმან, მცირემან ამისად შენად და ცვალებად კილ-ჭეთს, შერანდი შენ დ-თა ჩვენთა, ჭეშეს იცინი ვითარცა ურამის-თავლა და დერწყინი წინაშე ბერისა ქარისასა და ილეფენს ცეცხლი თავსა მათსა, ვითარცა თიფთა ვედისათა და ტიტხლიც შთაკლეს ჯოჯოხეთად და ნურათმცა სინანულით ნუ ახსნებაის სული მასი ცეცხლისა დაუშრეტელისა და მატლისა დაუძინებელისაგან, ხოლო დამპატიჟებელი სიკვდილი ამისი აუფრთხეს დ-თან □ □ + +.

განის აშიაზე სხვა-და-სხვა ხელით:

ქ. მე მდივანი ოთარ ამის მოწამე ვარ □.
ქ. მე მდივ(ა)ნი ვეთანდად ამისი მოწამე ვარ □.
ქ. მე მდივანი გიორგი ამისი მოწამე ვარ □.
ქ. ამისი მოწამე მე ნაზარი მდივანი ქდიშერ □.

247. მომულის დავის გადაწყვეტა, 30×14,5 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სტყვის შემდეგ. თავი დახიანებული აქვს. სიგელში იხსენიება შაჰნავაზ მე-III, ესე იგი მეფე ბაქარ.

1717. დვინობისთვის 24. [ესე მტკიცე და ყოგელის ხლ]ათისაგან გამოსული და მიზეზ-შემოწყებული, დრო მოგვეგვარ ფიცი და ბარი მოგეცა ჩვენს განყოფს ფარეშუბიანს რობიანს, შვილსა თქუენსა ქაიხოსროს, ჩვენ, ჯავახიშვილმან გიორგ და ბარ და ძმისწულმა ჩემა ქაიხოსრომ, ასე და ამა ბარსა ზედა, რომ რადგან მამულს გედვებოდა და ბედნიერმან კილმწიფე მეფემ შანვაზ ჩვენი დაბადისა და სარჩოდ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგებს და გასინჯავ ცოცხალს, სხვადასხვაგვარს, ბატონს ედა-
კარს უმძიმ. მაგგვიანა, ორივეგე გვალვებიკა, რომელიც სამთა-
დაი იყო, ეგელა ჩვენი სიქმე რიგიანათ გასინჯა და ამის შეტს ვერას
შემოკიდომდაი, ამათაც სამართალში გაითრეს და შენც დამხობე,
ბანჯის გაგელაშვილი ბრძა, ამისი ძმა იყუნა და შვილნი და მთამა-
კარი მათი, კიდეგე ამისი განყოფი მკერვალიშვილი იყო, ამისი ძმა
გიორგი, შვილნი და მთამაკარნი მათი, კიდეგე ამისი განყოფები,
შვიდა შვილები გაგელა და ზურაბი და კიდეგე შვილნი და მთამაკარნი
მათი, დღეს რისაც შემყალის მქონებელნი იყვნეს, მისის სამართალი-
თა და დღეს და დღეის იქით, თუ ან სამამულეო, ან რისაც დრო
შემოკიდებითა კიდეგე გვალა რასმე, ანდა შენთან ძმობისა და კარ-კა-
ცობის შეტი შენთან საქმე მქონდეს რაშე დღეს და დღეის იქით,
მტერზე მტერი არ გიყო და მთავარზე შენი ჯერ (არ) გიყო, დ'თის
შემცოდე და სვეტის-ცხოველის დამქცევი და ქართველის კიდმწიფის
შენგინავისა შემცოდე და კაცთაგანისა და სულ ქრთველი
დარბაისელი. ვარ ამისი გამრიგებელი და მოსამართლე სახდოხუ-
ცესი ცოცხალი ქაშვერ □, ამალახორაშვილი, ბატონი ოთარ □,
ბოქაულთხუცესი, ბატონი ჯამსიძი □. მე ცოცხალს ნა-
დარს □ დამიწერია. დაწერა დეკნობაისთვის კდ, ქწსს უქ + □.

248. ნასყიდობის წიგნი სვიმონ ბატონიშვილისა, 64,5×24,5 სანტ., დაწეროილია სქელ ქაღალდზე ლამპრის მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. შესავალი გაღოცუშვით.

1718. იანვრის 24. ...ეს ამაერ უკუნისამდე ხანთა და
ჟამთა გასათვებელი ნასყიდობის წიგნი და საგული დაგიწერეთ და
მოგართვით ჩვენ ჯავახიშვილმან ოთარ, შვილმან ჩვენმა,
შიო შ, შვილთა და მთამაკალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ბატონის
შვილს ბატონს სვიმონს, ასე რომე ჩვენი მკვიდრის უმის ბიჭე-
ბისშვილის ნაქონი ხოსიტას მამული ვენახი მისის წყალობათა, მისის
სამძდვრათა, ზეით სუფის შვილის ვენახამდი, ქვეით ნინიაშვილის
ვენახის სამძდვრამდე, ზეით გზამდი, ქვეით სეფნახლამდი, თავისეს

შესვლითა და გზითა, სახლ-კარი-შრომითა, ქვევრითა და საწნახლითა, რასაც ეს სახლ-კარი ჩამოატანდეს), ქვემოთ შრომდი, ზეთი წყარომდი ათას დღის მაწითა დამეშუარა და მოკუდეთო, ვითდეთ ფსი სრული, და უკლებელი, რითაც წვენი გუდა შეეკურდებოდათ, ეძონდესთ და გაბედნიეროსთ ღ~თ, ვითც სხვათა მონასყიდეთა წესია. ორის ამისი მოწამე თავად ღ~თი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნიანნი, ზორციელნი და უხორცონი. კეცთაგან კაშრიგე შადიგასშვილი მოდრეთ უხუცესი გაორგი □, ნინიასშვილი მერდული იესე, ბაშეიგასშვილი მერდული იოსებ, მოწამენი ჯავახისშვილი რაინ, ჯავახისშვილი ნიკოლოზ, კაშერდაძე მამუკა, ჭყონისშვილი დავით და ხელიერთ ბირაო ხოგლენი. დამწერია ბ ე ტ რ ე. ქვნის უგ. ინგრის კ დ. სასოვლათ მატხოვრის სულდრმი შეგნით და გარეთ ბაშეიგასშვილების ნასყიდრი მონა ღმისა ოთარ.

განის პირიზე სხვა-და-სხვა ხელით სწერია:

ქ. შე მდაფნი გიგი ამისი მოწამე ვარ □.
ქ. შე ნაზრი ქდაშერ ამისი მოწამე ვარ □.
ქ. შე მდაფნი ოთარ ამისი მოწამე ვარ □.
ქ. შე მორდავი ვეფხვიდიდ მოწამე □.
ქ. შე მდაფნი გიორგი ამისი მოწამე □.
ქ. შე აბზხაძე ბეჭან ამის მოწამე □.

249. ნასყიდობის წიგნის პირი მეფურნიშვილისა, 82,3×32 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით. ნიშნებათ აქა-იქ ნახმარია ზოგჯერ თითო და ზოგჯერ ორ-ორი წერტილი. პირი უნდა იყოს გადმოღებული 1785 წელს, ან ცოტა უფრო გვიან, რადგანაც ერთ ბეჭედს ამ წლის თარიღი უზის.

1732, აპრილის 20. ქ. სახელათა სახიერისა და არსებათად უსაბამო, უსრულისა მდ~თისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდათასა; იხილთ და შეიტყობათ ყოველად წმიდისა, უხრწნელისა, და უფრისად კურთხეულისა, დედოფლისა ჩვენისა, მდ~თისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამისათა; ძალიერებითა და ცხოველსმყოფე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოს, ბატიოსნის ჯუვარისთა, რომელსა ზედან განიბურნა უხრწნელნი მკლავნი თვისნი ხისისთვის ჩვენისა ქრისტეშინ დმერთშინ; წმიდისა, დიდებულის წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა, ნათლის-მცემლისა იოანესითა და იოანე ქალწულთ-მხსრწალისთა, თავთა მტილეულთა ბეტრესი და პავლესითა; სვეტას-ცხოველისა, კვართისა სიუფლისა და მარონ მღ-თის-მოფიცულისთა; ქართველთ კეშხათლებელისა, მცამეტე მოციქულისა ნინოსითა, და რანიც წმიდანი სვანურისნი შინ სწერიან და ანუ მოახსენებიან. ამს ყოველთა წმიდათა. მღუთისთა თავდებობითა და მინდობითა და შუამდგომლობითა, ესე ამიერ და უკუნისამდე, ხანთა და ჟამთა კასთაუებელი, სამკვიდრო და სიბოლო ნისფიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგცემთ ჩვენ, ნადარიშვილმა ფარსადან □ და ბაძა ჩემს ცოლიშვილ □ და ძმაშ ჩემა ანდრიანდრეშა და დავით და შამფალმა სიხლაშ ჩემისითა ყოველთა, ესე რომე დაგვეკარდა, მოგეცადო ჩვენის ყმის რახტეგნის შვილი ბეუსა და ნარქვდს შამფალთან გვრა ზე ერთი სოფლისქვალო სითვე, კახისშვილის ბეჭანის წილქალი რომ არის, იმის ბოდოში, სიც გინდა ორივე, და ბოდო წენთურის ბაკეის ბოდოს წედი რომ ჩამდის, აქამდინ სიც გინდა ერთი წილქალი დაბრუნე, შენ, შ ფ უ რ ნ ი შ ვ ი ლ ს ბ ე რ უ ს და ძმის შენს ო თ ა რ ს და ქ ს ტ ე ს და ვ ს ს. ვიდეთ ფსი სრული, რაითც ჩვენი გული შესჯერდებოდა, შენზედ ალარა დარჩომილა რა არცა ერთის იოტის ფსი. არ მოგეშალის ჩვენკენ და არცა სხვითა შეუტრანეთა სიხლისი ჩვენისით. ვისცა ესე ჩვენკენ მოციქული ნისიდობა მოგაშალის, მისმეცა რანსვის დმერთი და ყოველნი მისი წმინდანი, მისმეც ულების გვართა(ვით) გაზანის, შაშთველი იყვანის, ძრწოდა კაცისის, ცოცხლიც დაწყმინ დათ და ბიერნაის, და ნურაითმც სინანულით ნუ იქნები ხისი სულის მისისა ჯოჯოხეთისაკენ, შემცვალებელნი დ-თმინ შესცვალოს სახისი მისისაგან, სიდო დაშტკიცებული ამისი დმერთმინ (ვეთხოს). არიან ამისი მოწამენი თავით დმერთი და ყოველნი მისი წმიდანი, ზეცისანი და ქვეყნისანი, ხარებაენი და უხორცონი, და კაცთაკენ არის ამისი მოწამე ჩვენი ბაძაშვილი ცეტი □ და კვანშავილი ბოქოლთხუცესი ბატა და ადაიბეგისშვილი ბარსეგან, და წენთოელი

მამასახლისი გიო, და ზაქუელაშვილი(ებ) გოორგი, და ასიტასშვილი ზაზა, და ამაში ვინც წამოგვდგას, ბასუხის გაცემი ჩვენ გვეუფოს. ზეით სათავეს და ბოდორს ბაგების წყალი რომ გაწერია, ამაებს შუა შენს სხორებს შუა რაც გინდა გაკეთე, მოიხმარე, მდგომის შეტი კაცი, არც სახლის-კაცი, არც სხვა კაცი მოცილდე არა გეგვანდეს. ღ-თმა ასე მოგახმაროს, რაც გვარათაც სხვას მოასიცილე მოხმარებოდეს. გქონდეს და გიბედნიეროს ღ-თმან, სიბოლოდ მოგახმაროს, და მე ხარახასშვიდს ნასუიდან დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა აბრადის გ კასულს, ქვს უგ.

ქ. მე ცახის დადის კვლესიის დეკანოზი ტერ-მელქისეთის ძე ტერ-არქდ ამ სიგლის ასლი ვნახე და მის მგზავსად ეს სავადი გადმოვწერე და მოწამეც ვარ სომხური.

განის აშიაზე სხვა-და-სხვა ხელით:

ქ. ამ სიგლის ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე მე კვეზადისშვილმა თანდიელმა □. სომხურ ბეჭედს უჩის თარიღი 1754 წ.

ქ. ამ სიგლის ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე ნორაშნის წმიდა კვლესის დეკანოზი ტერ-აკოფ □.

ქ. ამ სიგლის ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე მე ამაღაშვილი ზაალ. ზ ა ა დ (ჩართულათ).

ქ. ამ სიგლის ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე, ფეოხიანის კვლესიის დეკანოზი ტერ-შიაოარ □. სომხურ ბეჭედს უჩი თარიღი 1785 წ.

250. ვენახის გაცელის წიგნი მანგელი ეპისკოპოზის ოანესი და ფარემუზ ჯავახიშვილისა. 46,5×29,8 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ბოლოს წყვეტილა გამოვუშვით.

1718, მარიამობისთვის 23. ქ. ნებითა და შეწევნითა ღ-თისთა მამისა, ძისა და სულისა წმიდისთა, ახალთა და შეოხებათა ეკოდად წმიდის, უხრწნელის, უეფრასად კურთხეულის დედებულის დედოფლის ჩვენის ღ-თის მშობელის და მარადის ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველ-მყოფელისა, ზატიოსნისა ჯვრისათა, წმიდათა უსჯულოთა ზეცისა ძალთა და მთავარ-ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელოსათა, წმიდისა წინასწარმეტყველისა, წინა მორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესათა და იოანე ქალწულ-მხსრელებისათა, თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესითა, წმიდათა მთავრებათა ესე უკუნისამდე ყოფა და ხანა გასთავებული, მტკიცე და უცვალებელი ჭეშმარიტების საცნაური მოგებით ჩვენ მანგლელ ვეხსნილ-ვართ ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ი ე ს ე ნ ე ბ ი ს ა ,
ჯვარ-ცმულ, ბიტონს ფარეშუხს, შეიდოს თქმენია ყოვნდაც ჩვენ და ეროვნებას, ასე და ამ ბერს ზედა, ძველთა-გან სვიმონ მეფისა და დედოფლის დესპან-დარეჯანისა-გან და მეორედ კელაძეს შვილვარ მეფისაგან მანგლისის ღ-თისმშობლისათვის სასდაჭოთ შეწირული ზღარა ბანო-ს კეცებული ქუნდრის ხახაშეიდის შახარის ჭინაჭედი და მოგებით ჩვენის მონასტრის ზღარა თავის წულით, ბანურის წულით უნდა არწყოდეს, ისე შესწირვით, სიდარს ზეთ ამერეღის შეიდის ჭინაკამდე, იქით კეკელაშეიდის ნიჭინაობამდე, ბოდის ტდიანაშეიდის მაწამდე, ჭქით ფარეშაშეიდის მაწამდე, თავისის შესვლითა, ესენიდითა, სიწინახეთა წოფლის კეტისგან მოულეარი და უტილებელი, არა კეი არა კეტილებულს. ვინცა და რამხეც მანგლისის შეხტორეს ამისად შეხედ კელეს, რისხვა-სმეს თვით ღ-თი დაუსბამთ... კეტოსკან ამისი მოწამენი ჩვენი სახლთხუცესი კიორგი, მთავარი მღდელი ითანესე, მღდელ-მონაზონი ბართლომე, ხალიჭაშეიდა, მღდელ მთხსრთი ეკლემაზ და სრულ ერთობილნი ჩვენის მონასტრის მანგლისის ღ-თის მშობლის ეშინა მე სიონის დეკანოზს მღდელს ე ს ა რ ე ი ე ლ ს დამიწერია და მოწამეც ყარ ამისი. დაიწერა მარიამობისთვის ოცდა სამსა, ქჭსე უ ე. მ ნ-ე ლ ე ი ე ო ა ნ ე (ჩართულათ).

შემდეგ სხვა ხელით:

ქ. ჩვენის კრებულის კელი + + +.

ქ. ჩვენ კათალიკოს-პატრიარქი დამიჭირე მოწაშე და დამშტკიცებული სიგლისა ამის, კათალიკოზ-პატრიარქი დ ე მ ე ნ ტ ი (ჩართულათ).

უკანასკნელ გვერდზე სხვა-და-სხვა ხელით:

ჩვენ, მთავარ-ეპისკოპოზი ვალავანდიშვილი, ბატონი ქრისტეფორე მოწამე ამისი. მ თ ა ვ ა რ - ე ფ ი ს კ ო პ ო ზ ი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე (ჩართულად).

ჩვენ, ტფილელ მიტროპოლიტი, ბატონი პ ა ვ ლ ე მოწამე ამისი.

ჩვენ, მროველ ეპისკოპოზი ორბელისშვილი ნიკოლოზ ამისი მოწამე. ნ ი კ ო ლ ო ზ (ჩართულად).

ქ. მე მდივანი ოთარ ამისი მოწამე ვარ |მდივანი ოთარ|.

ქ. მე მდივანი გივი ამისი მოწამე ვარ |გივი|.

251. ნასყიდობის წიგნი ჯავახიშვილებისა 44,5×24,5 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ზოგჯერ თითო და ზოგჯერ ორ-ორი წერტილი. შესავალი გამოვუშვით.

1718, ენკენისთვის 17. ...ქჳე... ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, თქვენმა განაყოფმა გ ო შ პ ა რ, ძმის წულმა ჩემა ქ ა ი ხ ო ს რ ო მ და მომავალმა სახლისა ჩვენისამან თქვენ, ჩვენს განაყოფს რ ო ი ნ ს და შვილთა თქვენსა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და ზაალს და მომავალთა სახლისა თქვენისათა მას ჟამსა, ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენ ა რ ა ყ ა ჯ უ რ ს ა და გ რ ა კ ა ლ ი ს რუს ზეიდამ ჯვარისაშვილის ბაგა რომ საჭვირეულო იყო, იმის თავს და გვერდიდამ საკვეთელის ზომით სამი დღის მიწა თავის სამართლიანის სამძღვრით. ქონ(დ)ეს და გიბედნიეროს ღ´თნ ყოველს ალალს მონასყიდესავით. არ ოდეს არ მოგეშალოს ეს მტკიცე ნასყიდობა, არა ჩვენგან და არა ჩვენთა ჩამომავალთაგან. ვინც ამას შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, კაცთაგან ამისი მოწამე და დამხდური მანგლელი მიტროპოლიტი იოსეფ. ი ო ს ე ფ (ჩართულად), ბატონის აღმზრდელი გარსევანაშვილი გიორგი □, ბულვარდიშვილი ბეჟან, ანერმნიშვილი რევაზ. მე უ ა რ ა ნ ს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ენკენისთვის იზ, ქჳს უვ □ □.

ეროვნული ბიბლიოთეკა

252. ბძანება მეფის ბაქარისა, 15,5×15 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ხოგჯერ თითო და ხოგჯერ ორ-ორი წერტილი.

1716—1719. ქ. ჩვენი ბძანება არას აისჯულო, მერე ქალაქისრო ჯავახიშვილს კერძი ხუთი კომლი კაცი ეომძაც დაუშა, ეომსწაღალი გაორგი, ჯალდი ბერუა, დავითსშვილი ბერუა*), ბერასშვილი ზურაბ, ეს ხუთი კომლი კაცი ჯავახიშვილისრო აისთვის გვებოძებია. მადი, კელა აუმსრო და მაიბარე. მეფე ბაქარ.

253. განჩინების წიგნი მეფე ბაქარისა ფარემეზ ჯავახიშვილის და მისი შვილების დანის შესახებ, 30,3×12 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1717—1719. ქ. ჯავახიშვილი ფარემუზ და მისი შვილნი როინ, ავთანდილ და ნაბერაღი ხოგდეს წყალზედ დაბარაკობდნენ. ფარემუზ ამას ანბობდა: „რადგან ჩემთვის სიმკვიდრო ექმსი კომლი კაცი შეიგებისკენ მოსამართლეთ მოშეესო, ამისი წყალიც უნდა კამარაგდესო, რომე დაბარკეი ადარ შეგვეშნისო“. აწ ამისი ასრე გვებძანებია: რაც ხოგდეს წყალის წილი ფარემუზიანებს ნოსესაგანში ჭქონდეს, იმ ოავეთის წილის წყლიდამ ერთი დღე როინ, ორი დღე აყოინდილ და ნაბერაღმენ, ფარემუზის ექვს გლეხს დ(ა)ნებინ, რომე იმაია მოწყონ. მერმე როინის სუეთროსო კლეხმენ და მინოშიანებზედ რომ ვეხი დასდებია, იმდენი ვეხი მოწყონ. მას უკან ავთანდილის და ნაბერაღის გასმერეღო კლეხები რომ არის, იმათ მოწყონ. მას უკან ძმაზედ კაიან და ისრე ადინენ. რა ხხით ვეხების რწყა კოთედეს, მაწებაც ასრე ამრიგად მოწყონ. მეფე ბაქარ.

*) ეს ორი სიტყვა წაშლილია დედანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

254. ბძანება მეფე ბაქარისა, 30,5×14,5 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1719, მაისის 12. ქ. სანამდისინ ფარემუზ ცოცხალი იყოს, უნდა გჷრეთ ჩვენგან მაცეშული თავისთვის სამყოფრო გლეხები. გასწორდა გლეხები, ახლა რომე ვითხოვდე და ერისტეთ დანებეს, დუდაქი ბასილა, დალაქი ზაზუნა, ფარეშა ზურაბა, ესენი თავეთის(sic) მამულითა, სამეგრელოთ მაცეშული ზვარი, ესენი სინამდინ ცოცხალი იყოს ფარემუზ, ამისწორეს და გჷრეთ, და რა-სც(sic) სოფელმინ არ დაიშალის და ფარემუზ ალარ იყოს, ვითხოვდე და ერისტეთ შუა კაიყო. როინს კედა ერა აქუს. წყალასა ესე აქნაა: რაც ეს ფარემუზს ეჷრივს, ვითხოვდე და ერისტეთ უნდა შეჯდეს მოურწყოთ. მას უკან შუა ძმათ შუა კაიყო; ფარემუზის ზვარი რაინ და ამ ძმებმინ უნდა მოურწყოთ. მას უკან სხვა ზურგი მორწყოთ, მერმე რაგინ მოსდგეს, წყალს ნურავინ კაუიდეს. მაისის ია, ქჷნ უზ. მათ შვილის გენახეც სურათი უნდა მოარწყუმეგინონ.

მეფე ბაქარ.

255. ბძანება ბატონიშვილის სეიმონისა, 15×12 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1712—1714. ქ. ჩვენი ბძანება არის: ეს მხვდაძერ ოსტეკვნ დაიმის შვილება ჯვეხეთიდამ ჯვეურია და წასულა ისრე მოგეყვანა და ოძისს ჩვენს ნასეიდში დაგვასხდეა. ამისთან კედი ნურავასა აქს და ნურც რას შესცოდეს, თორემ მწყრალ უწყენთ იცოდეთ.

ბატონიშვილი სეიმონ.

256. განჩინების წიგნი მეფის ბაქარისა, 35×12 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმა-

რია ორ-ორი წერტილი. თავი დახიანებულია და აკლია.

1717—1719. ...ისხნაშვილს ზურაბს, ...შვილს ნაზარეს, ია... და შვილს ვახუშტს ქმებს... ჯანაშვილს ...ბაადურიანგან ორსა ადგილს მაწები ეყიდნა და კარგა ხანი სწყრომოდა, ეხხა, დღა ისმისთვის ქძია, დღესმდინ ასრე უოფილიუნენ. აწ ბაბუაშვილები სწყდებოდენ, გე მაწები ჩემის ყმისგან რომ გაეყიდნაო, აურალი უოფილაო და მერმე მამა ჩვენს ფასიც შეთუერაო და მაწები უსმართლოდ კიწერესო. ამისი ჯანაშვილმა ამორო უთხრა, ეს მაწები რომ ვიყიდეთო, კაორგა მეფის ყმებიაც გუეყიდნა, ის შენი კაცი არც აერდი უოფილიუნესო და არც მამა შენს ამისი ფასი ჩვენთვის შეთხრებინოსო. ჩვენ ეს გაუჩანეთ, თუ წაიდნეს ჯანაშვილები ორნივ ძმანი და ასრე იფიცონ, ბაბუაშვილები არას ეშორდებიან და დაღას კი აიდებენ ხოლმე, და თუ ვერ იფიცონ, მაწა ბაბუაშვილის დაუნებონ, თუ იფიცა, ბაბუას კაცის თავის გიტეხამ ჩაიბრას, და თუ ვერ ფიცა, მოსულმა თავის გასამტეხლო მაცემინოს | მეფე ბაქარ .

257. ნასყიდობის წიგნი ბახუტა საკაძისა, 23×21 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1721, ივნისის 20. ნებითა და შეწევნითა მღთისათა, ესე მპაერითურნი ყამთა და ხანთა უკუნისამდე გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წიგნი, უოველის კაცის უცილებელი და უმხზეო ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, სვანეძემ ზურაბ და შვილმა ჩემმა გიორგიმ და ზაზამ თქვენ, ბახუტს სა(ა)კაძეს, შვილს თქვენს დემეტრეს და გვრიგვანს, ასრე რომე დაგვჭირდა და მოგუდეთ ბოძნაგ მოკლეძის ბაბუას წილი ვენასი თქვენის სასახლის გვერდით, ზეით თავის კახუოფა ბერუას სამძღვრამდი, რაც ბერუას სამძღვარი გამოატანს შენდა მოგვიყვანია. მოგუდეთ და ვადღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, რომ არა დარჩომოდა რა ჩვენი თქვენზედ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმან. თუ ვინმე შემოგეცილოს, ბარისა და ბასუხის კამეცმა ჩვენ ვიყვენით. ორის ამისი მოწამე ბატონი ნადარიშვილი ბა(ს)ტა. ბაატა (ჩართულათ), ასე ტლაშაძე მდგელი. მ ე ხ ა ს შ ვ ი დ ს დ ა ვ ი თ ს დამოწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი იანვარს ოცს. ქკს უ თ. + + +.

258. ნასყიდობის წიგნი ზურაბ რატიშვილისა. 59,5×22 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი და წყვეტა გამოვუშვით.

1721, თებერვლის 1. ...ესე... ნასყიდობის წიგნი მოგებეთო ჩვენ ჯ ა ვ ა ხ შ ვ ი დ მ ა ნ ა თ ს დ ი დ, შვილმან ჩვენმან მ ზ ე ქ ს ა ბ უ ქ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთაგე თქუენ, რ ა ტ ი შ ვ ი დ ს მეჯინიბეთხუცეს ზ უ რ ა ბ ს და შვილთა თქუენთა დაგითს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთაგე, ასე და ამის პირს ზედან, რომე დაგწერდა, მოგეყიდეთ ჩვენი მემკვიდრე და ბრალშე გამოყოლილი ეროთ კომლი უ ა რ ა დ ჯ ს გ ე რ ე კ ვ შ ვ ი დ ი ბ ე რ ძ ე ნ ე, მისი ბიძაშვილი, მათი ძენი და მომავალნი მათის მამულითა და წყლითა, წისქვილითა, ვენახითა, სიმინდითა, ყანაგითა, ნასიდალითა, ყანადითა, შესაფლითა და გასაფლითა, სახლგარითა, გარეშემოთა, სასრთლოთა, ყოველის მისის სამრთლიანის მზღვრითა, დღეს რასაც მქონებელნი იყვენ. ჯადეთ ფასი სრული და უწყლებელი, რაითც ჩვენი გული შეეჯერდებოდეს... კეფაჯარ ამისი დამწერი და მოწამენი: ნაზარი ქალაშვ □, მდივანი გიორგი □, მდივანი გივი □. ჯ ა ვ (ს) ი ა შ ვ ი ლ ი რ ა ტ ი (შ ი ლ ი) □, თურქისტანიშვილი თურქისტან □, ნამანგლულეიშვილი გუგუნა □, მამუკა გამრელაძე, ფეიქრიშვილი ჯაჯა, ხუცეშვილი ქალისპირა. მე, ბატონიშვილის სვიმონის დეკანოზს ი ე ს ე ს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა თებერვალსა ერთს, დამდეგსა, ქკს უ თ. □.

განის ა'მიაზე სხვა-და-სხვა ხელით:

ქ. ამის მოწამე ეშაკალიშვილი დურაშხან □.

ქ. მე ამისი მოწამე მორდალი ჯაფანდალ □.

259. ნასყიდობის წიგნი ზურაბ რატიშვილისა, 59,5×22 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი. შესავალი და წყველა გამოუშვით.

1721, თებერვლის 6. ...ესე უკუნისამდე ყმათა და ხახათა განსათვებელი ნასყიდობის წიგნი მოგებული ჩვენ, ჯ ა გ ხ ი შ ვ ი ლ მა ფ ა რ ე მ უ ზ, შვილმა ჩვენმან ე რ ე ს ტ ი მ(sic), შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისა ყოველთავე თქუენ, რ ს ტ ი შ ვ ი ლ ს, მეკანაბეთ-უხუცეს ზ უ რ ა ბ ს, შეილთა თქუენთა დ ა ვ ი თ ს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთავე, ესე და ამა ბარძს ზედან, რომე დაგებეჭდა და მოგეცადეთ ჩვენი მემგებრე და ბრალთაში გამოუოდალი ქვენდრის ერთი კვანძი ნანატაშენი ივნო, მასი ძმა თვენდრა, იქვე კიდევე კვანძი ერთი ხახიშენი მახრა, მაშ მასი ხიზანი, ძმისწული მასი ნანატაშეული თავისის სახლ-კარ(ი)თა, კარეშმოთა, შესვლათა, გასვლათა, ვენაკებითა, დოლაბთა, წუდითა, წისქვილთა, საკნებითა, უკნებითა, სარწყვითა, ურწყვითა, მთითა, ბარითა, სასოფლოთა, ყოფილს მასის სამართალსანის მზღვრითა, ვგრეცე ხახიშენი მახრა და მასი ძმა და ძმისწული თავისის მამულ(ი)თა, სახლ-კარ(ი)თა, კარეშმოთა, ვენახითა, ვენაკითა, საკნებითა, უკნებითა, სარწყვითა, ურწყვითა, მთითა, ბარითა, ყოფილთა მასის სამართალსანის მზღვრითა და ს(სა)ზღუდოთა, ეს ორი კლდენი ყოფილს კაცს მოუდგამი და ულაპარაკო. ჩვენ მეკვიდრე ემს მოგვეიდენით. თუ ვინმე ილაპარაკოს და წამოგვდგეს, ბარამს და ბასუხის მაძიებელი ჩვენ ვიყვნეთ... კაცთაკენ ამისნი დამდურნი და მაწყინენი: ნაზარა ლდაშერ □, მდივანი კოორგი □, მდივანი გივა □, ჯავახიშვილი როვან(sic) □, ჯავახიშვილი ქაიხოსრო, ნამრგლულევილი გუგუნა □, თურქისტანიშვილი თურქისტან □, ეკმარულაძე მამუკა, როვანის ემი სულეფხისტიშვილი სეხნია, ხუციშვილი ჩეჩი ემი, და აბურჯანიშვილი კილდეგი ბეგია, ფეიცარიშვილი ზაალ, ხუციშვილი ქალისარა. მე ბატონიშვილის ს(ვ)ი მანის დეკანოზს ე ე ს ე ს დამიწერია და მაწყინეც ვარ ამისი. დაიწერა თებერვლის ერთს დღეზედ. ქრს უო □ +.

განის აშიაზე სხვა-და-სხვა ხელით:
ქ. ამისი მაწყვე ყდაგადაბმაში დუშმაშხან □.
ქ შე ამისი მაწყვე მორდალი ვაოსნდად □.

260. ნასყიდობის წიგნი ხურაბ რატიშვილისა, 65×24,5 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნაშენებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი. შესავალი და წყევლა-გამოუშვით.

1721, აპრილის 3. ...ესე უგუნასმაღე ყმათა და ხანთა გასაოვგებელი ნასუედობის (წეგნი) და სიგელი მოგებეთ ჩვენ, ჯავახიშვილმა ოვრაგმუზ, შვილმა ჩვენმა ერისტომ(sic) თქუენ, რატიშვილებად შეჯანაბეთ-ხუცეს ზურაბს, შვილთა თქუენთა და ვითს, შვილთა და მომავალთა სხლისა თქუენისა ეოველთვის, ასრე რომ დაგჭირდეს და მოგედეთ ჩვენი მემკვიდრე ესე ხოველს ხუცეშვილი ბერუა, მასი ძმა გიორგი მთის მამულითა, ეენაკითა, საწნახლითა(sic), ეველითა, სთაბლითა, სანაგითა, უენაგითა, სარწყავითა, ურწყავითა, სახლ-კარითა, ქვევრმარნითა, კერეშმითა, სასიეღოთა, სასმელ-კალთით, შუსაეთით და გასვეთით, წუდითა, წასქუელითა, მოათა, ბაღითა, ეოველის მასის სამართლიანის სამძდვრათა, ეოველთურთ უნაკლულოთ, დღეს რასაც შეონებენ არან, ეოველის კაცის მოუდგარი და ულაპარაკო, თუ ამას ვინმე წამოგედეოს(sic), ჴასუხისი და ბარის მაძგემი ჩვენ გაუვნეთ. ხუთულს გარდა ვიდეთ ფასი სრული და უკლებული, რათაც ჩვენი ცული შეეჯერდებოდეს... კაცთაგან ამისი მოწამენი: ნახარი ქალიშერ, მდივანი გიორგი, თურქისტანაშვილი, ბაქ(ს)ულოხუცესი თურქისტან □, ჯავახიშვილი რვენ(sic) □, ჯავახიშვილი ვაოსნდად □, ჯავახიშვილი ოთარი, ჩვენი ანსურაშვილი ცარელაძე მამუკა, მდდლ(ი) ნანიშვილი იესე, ბაბუკაშვილი მდდელი ითანე, ჩემი ძმა ხუცაშვილი ნიკოლაზი, სალუკანაშვილი სეხნია. მე ბატონიშვილის სვიმონის დეკანოზს იესეს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი □. დაიწერა აპრილს სიმსი, ქწს უო □ +.

განის აშიაზე სხვა-და-სხვა ხელით:

მდივანსა გიგი □. ქმაკაცისაშა დურმიშხან ამისი მოწამე □.
მე ქაიხსრო ყოფნანიშვილი ამის მოწამე □.
ქ. მე მურდალი(sic) ავოანდილ ამისი მოწამე □.
ქ. მე ნაზარი ყდაშერ ამისი მოწმე ვარ □.
ქ. მე მდივანი გიორგი ამის მოწამე □.

261. ნასყიდობის წიგნი ოთარ რატიშვილისა, 33×11,5 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია თითო წერტილი. ზოგიერთი სიტყვები დედანში გადასულია.

1721, მარაამობისთვის 20. ქ. ნებითა და შეწევნითა დიდისათა, ცხე ნასყიდობის წიგნი მოკეც მე, ჯავახის შვილმა ნაგოდოზ და ძმისწულმან ჩემმან ქაიხოსრომ და შეიდმან ჩემმან გიორგიმ თქვენ, რისა შვილს, შეჯანაბეთ ხუთს ოთრს, და ძმასა თქვენსა ბავურს, შვილსა და მოსაგლასა სახლისა თქვენისასა, ასე რომ ჩემს ძმას გახის თქვენთვის თორი კამაერთშეკონა და თამასუქები მაცა და კაცები გორათ, ის თორი მოითხოვეთ და ყველა მოკლეთ და ჩვენც ნასეალთ მოკვიეთ ის ყმა და მამული ...ბეკა ხერისაშვილი ტი.. ბაზნის კოკისისშვილი გიორგი, ხოვლეს ბითაძე ბეჟანა. კიდევ ხოვლეს ფხაიშვილი ბასიაა, იქიც ხოვლეს კაკანაშვილი შერმანი, წერეთელშვილი ასე, ცხენი რისც მამულის მქონებელნი ვართ თქვენთვის ნასყიდო მამიცა, რომ არას კაცს ამასთან ხელი არა აქვსო. თუ ვინმე წამოყენდათ, ბერაში და ბასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. ვინ ამისი მოწამე თავი დ თი და კაცთაგან თქვენი ბიძაშვილი ზურაბ □, ბარათაშვილი, ბოქულთხუცესი გურგენ □, ხერხეულიძე ასე □, ზურაბ, ჩვენი ახნაურშვილი... თურქმანისშვილი თურქისტან. მე ზვიდეშვიდს გვრს კვნს დამწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა მარაამობის ოცს, ქვს უო □.

ვანის აშიაზე სხვა ხელით:

ქ. მე ავოანდილ ჯავახისშვილი ამისი მოწამე ვარ, ნაგოდოზ მაჭუა □.

262. ნასყიდობის წიგნი დაფკიაშვილისა, 25×16,7 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი. შესავალი გამოვუშვით.

1722, ივნისის 20. ...ესე ნასყიდობის წიგნი, სიგელი, ბარი (და) ფიცი მოგეც მე, ფ ე ფ ი ტ ა ს შ ვ ი ლ ი ს ბ ე ტ ი ა ნ ს, ჩემს ძმისწულს გ უ დ ი ს ვ ე ბ ს, ი ო ვ ნ ა ს და გ ი ო რ გ ი, შერმაზანამ, ბერუაშ და სხლისამნ ჩვენისამნ მამაყლმა, თქუნ, დ ა ფ კ ი ა ს შ ვ ი ლ ი ს მ ა მ ი ს ა ჲ ქ ლ ი ს და გიორგისა, მხისრასა, ხახუნასა, ბერუასა, სხლისასა შენისასა მამაყლსა, ასე რომე მოგეყიდა ჭალა, სყლდჯ მდგიძისა ეული, სეხნიამ რომე კაიარა იქმდი, ამისი თეთრი ბატონს მივეც. აგიდე ფასი სრული, რათაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. დმერთმან მშვიდობაში მოგახმრას. ვრას ამისი მოწმე თავად დმერთი და მერე მისი წმინდანი. კაცთაგანს მოწამე: დიახუსშვილი ხახუნა და მე ახლქალაქელს კალუსტასთა იოვანესშვილსა გასპარასა დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ეს წიგნი ივნისის ოცს კასულსა, ქკს უ + + + + + +.

263. ნასყიდობის წიგნი როინ ჯავახიშვილისა, 30×18 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. შესავალი გამოვუშვით.

1722. ...ესე ამაერათ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა საბოდოთ კასთაუებული, მტკიცე და უტეხებული ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, წ ე რ ე თ ე ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს თ ა ვ ი ს ა ჲ ს, გ ო დ ე რ ძ ი ს, ი ვ ა ნ ი ს და უოკელმა მამაყლმა სხლისა ჩვენისამა თქუნ, ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს რ ო ი ნ ს, შეიდსა თქუენსა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და ზ ა დ ნ ა და უოველსა მამაყლისა სხ(ლ)ისა თქუენისასა, ასე რომე მოგუიდეთ ჩვენი ნასყიდი ჲტარა ვენაკი, ქვეით ნინოწმიდის ვენახმდე, ზეით თავის სამძღრამდე, ქუეთ თქუე(ნ)ს ზღარამდე. კქონდეს და გაიქნიერონ დ'თმან. და აგიდეთ ფასი სრული და უკლებული. მოგუიდე მისის უოველით გასყიდით და

წუდით და ოდგლის მასის სამრთდასანის სამძღრით. ვისც და რა-მსც კეშმ ეს ჩვენგნ მასუედული ნასუედობა მოგიშლოს, მასაშ რასხვამ დმერთი, და ამა ზემო წერილი წმანდნი, ხოდო ამასი და-მმტკიცებელი ღრნ ჯუარსნს. ორას ამასი მაწყმე: ერასთავსშეი-ლი დვით, ოთხრი ჯვახნსშეილი, მამუკა გიორგიძე, კანიასშვილი შერმზნს. მე ნათნგლს დმიწერია და მოწყმეც ჯრ. ქვს უი + + +.

264. წერილი ბატონიშვილის ვახუშტისა, 17×14 სანტ., დაწუ-რილია ქაღალდზე ნუხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმა-რია სამ-სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. წერილი და-ახლოებით 1718—1724 წლებს ეკუთვნის.

1718—1724. ქ. ბატონიშვილის ვ ა ხ უ შ ტ ი ს დიდ ი-მედ, დიდო იმედო მასპწინძლო, ჩვენო ორდეს არა დასცუეწა-რო, ფრეშა-უხუნესო. ხ ს დ! შრფვლი მოკითხვა მოგეახსენებია! შენმე ამ ჯ ვ ა ხ ი შ ვ ი ლს ფ ე რ ე შ უ ხ ს და ნ ი გ ო დ ო ხ ს ბატონმ ხელახლ კანაჩენი უბოძა, რომ რაც დღეს კ ვ ი რ ი ს მა-მული და მაწი არა უწერაჳსო, მის მეტოთნ კოშკრის ხელი არა აქვ-სო, ნურცა რა ხელი ეარდაჯმა აქვსო და ნურცა რა ხანდაშეო. ახ-ლა ბატონმაც ხომ ასე უბოძა კანაჩენი და ჩვენც ასე შემოგვთვდაო, რომ როგორაც ამ ფერეშუხსა და ნიკოდოხს კანაჩენში ეწეროს, შენც ისე გაჯრაგე ...*) და ხანდაზოს კოშკრის ხელი არა აქვს, და რაც დღეს კ ვ ი რ ი ს მამული და მაწი ქონდეს იმითი, ის კოშკრის დანებე. სხვასთნ ხელი ნუ გაქვს, თორემ ბატონიც მწყე გიწყენს და ჩვენც დიდ დაგეშურებიო ატდეთ ვახუშტი.

265. ნასყიდობის წიგნი სვიმონ ჯავახიშვილისა, 26×15 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნა-ხმარია ორ-ორი წერტილი.

1723. ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისთა, მეოხებითა

*) აქ ერთი სიტყვის ადგილი ამოხეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველად წმინდისა მღთისმშობელისათა და ყოველთა წმინდათა ზეცისა და ქვეყანისათა, ამათის მოწმობითა და თავდებობითა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ანდრიანე შვილმა რევაზ და ოტიამ თქვენ, ჯუანხის შვილს სვიმონს, შვილთა და მამამკვდართა სახლისა შესახებისათა, მოგუდე მანათაურში შენის სასხლის წინ, ზეითა ბარი ერთი დღის სკვეთილს ზომა მაწვს. ვიდე ოსი სრული, რათაც ჩემი ბული შეგჯერდებოდა. გჭირდეს და გიბედნიერას დმერთმან. არას ამისი მოწმე თავად ღმერთია და შენ მე ყოველნი მისი წმინდანი, კეტოურან: ბუღეარდის შვილი ითარა +, ამირასშვილი ათასჯი +, ნიშარძე ათჯი +, დვრძე ოთარა +, მე ჴელადა ნახუცა +, და მე ანდრიანე მღდელს დამიწერია და მოწმედ ვარ ამისა. ქვს ეა + +.

266. ნასყიდობის წიგნი ზურაბ ფანიაშვილისა, 32×16 სანტ., დეწერილია სქელ ქაღალდზე ნუხსა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ზოგჯერ ორ-ორი და ზოგჯერ სამ-სამი წერტილი.

1713, ივნისის 7. ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე მერაბისა შვილმან ბეჟან შენ, ივანესა შვილს ზურაბისა და დმრმზისა, შვილსა თქვენსა ნასეადსა, ბერიასა, თორხა, ხახუასა, არეთანსა(sic), ფარემუზასა, დაყოასა, მამაკვლის სახლისა შენისასა, ასე რომე მოგეიდე ცხენ-ქვაბისა შეოხედა, რაც ჩემი წილი იყოს, თუ მთა და ბარი ეკუდა შენთვის მთმაეადა, ტიხ-ქვისაა. არა კაცი არ გეცოლებოდეს, არცა ჩემი მოსთაესვე, არცა ჩემი სახლისკაცი არა გეცოლებოდეს, ეგედას ხასუნი მე გჯეტე თუ ვინმე შემოგეცილოს. რაცა ჩემი ეული შეეკერდებოდა, ოსი გამოგარითა. არას ამისი მოწმე: დონასშვილი ძამასხლისი ეკაკა, კირაკოზასშვილი ებია, ცერცვაძე დათუნა, ბაიაშვილი შალვა, ყათაისშვილი სარუხანა, ყაიასშვილი მარქარა, სპანიაშვილი დავითა, თამარასშვილი იორდანა, ეომარეული მატუასშვილი ზურაბა, მამიასშვილი შერმაზანა, ზებადასშვილი ბაჯა, ბუღასშვილი მდოასა,

კიდე ბეღლისშვილი მამუკა. დარიაჩულს მამნიშვილს დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა თვესა ივნის ზ, ქნს უა +.

267. სიგელი მეფე ვახტანგ VI-ისა, 27×22 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1723, აპრილის 25. ქ. ნებითა და შეწევნითა მრ-თისათა ჩვენ, მრ-თივ ალმატებულმან, მრ-თივ დამცარებულმან და მრ-თივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან, ლვთითან, სოლომანიან, ბაგრატოანმან, მეფემ მეფემან, პატრონმან ვახტანგ, თანა მეცხედრემან ჩვენმან, ჩარქეზთა პატრონთა ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან რუსუდან, პირშიმან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან მეფე ბაქარ და პატრონმან გიორგიმ, ესე ამირ(ი)თ უფუნისმიდე ჯამთა და ხანთა გასთავებელი, სპეციდრო და სპობლად გამოსადეგი წუდობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გებოძეთ თქვენ, მარტიროზიშვილი მდივანბეგ მდივნის უმის ცხილვანელს (sic) სიდამონაძეს დემეტრესა, ძმასა თქვენსა ბერსა, დახარეს და მამაგალსა სახლთასა თქვენისასა ყოველთავე მას ჟამს, ოდეს მოგვიდექით კარსა დარბაზასა ჩვენისასა და სიათრხის წუდობას დგეჯუნით. და ჩვენცა გისმინეთ ჯა და მოხსენება თქვენი და ასე გითხრეთ, რომ არც სჩვენად გვიმეო და გვაბარო და არც ქართმი გეთხოვებოდეს და არც სმოურიო და არც უბრალო ხარჯი გვეგრიო. ეხონდეს და გიბედნიეროს დ-თ ჩვენსა ერთგულად სმსახურსა შანს, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა შეპატრონეთაგან. აწ გიბძანებთ, კარის ჩვენის ვაქილ-ვაზირნი და მდივან-მწიგნობარნი, ბძანება და ნიშანი ჩვენი თქვენსა ესრე დაუმტკიცეთ და ნურვინ მოუშლიათ. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქნს უა, აპრილის კე, კეთილითა ჩვენის მდივან-მწიგნობრის თეიმურაზ მდივნის ბერთუკდილითა. ვახტანგ. რუსუდან (ჩართულები).

ქ. ჩვენ მოურავმა უშიკაღასბაშმა გიგმა ეს ბატონის ბძანება ასე დაგვიმტკიცებია □.

განის აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ჩვენ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე მეორე ი რ ა კ ლ ი, მეფე ქართლისა [და] კახეთისა, ამ სიგელს გამტკიცებთ იესესის კ დ, ქნს უ ნ ზ. □ ბეჭედს აწერია ხუცურათ „ერეკლე“ და მხედრულათ: „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“.

268. ნასყიდობის წიგნი პაპუნა დოქიმისა, 58×22 სანტ., დაწე რილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმა რია ორ-ორი წერტილი. შესავალი გამოვუშვით.

1723, მაისის 20. ...ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა განსათავებელი და მიზეზ-შემოუდებელი, მტკიცე და უცვალებელი ნასუედობის წიგნი და სიგელი მოგებული ჩვენ ჯ ა ვ ა ხ შ ვ ი ლ მ ა ქ ა ხ ი ს რ ო მ, ძმამან ჩვენმან ს ვ ა მ ო ნ, ბაძაშვილმან ჩვენმან გ ი ო რ გ ი მ თქვენ, დ ო ქ ი ძ ე მოდარეთ-უხუცეს ე ს ე უ ნ ა ს, შვილს შენს დ ა ვ ი თ ს და ქ ა ი ხ ო ს რ ო ს, შვილთა და მომავალთა სახლის თქვენის ყოველთაგე ასე და ამ ბირს ზედა, დაგებეჭირა და მოგეცადეთ ჩვენი მემკვიდრე და ბარათი გამოუოდიდი ამა უ ა რ ა დ ა ჯ შ ი ა სპტურაშეალი ზურაბა, თავისი შვილები: ბერუჯ, გიო რგი, ბუზუტა(sic), დღეს რასაც მჭონებული იყოს თავის მამულითა, სახლკარითა, ქვეყრითა და მრანთა, სავნაეთა და სთიბითა, სამტეთა, წყდითა, წისქვილითა, ბაღითა და ვენახეთა, მთითა და ბარითა, შესავლითა და გასავლითა და ყოველის სამრთლიანის მასის მძღვრათ სახ ოველოთა. ესე ასე მოგეცადეთ უკლებლ, ყოველის კაცის მოდგეკარ-მო უსარწყევი და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგო მად სხვათა ადამის მონათესავეთაგან, ვინც კი ჩვენგან ნასუედობა და კარიგება მოგიშალოს და ან წამოგედაოს ვინმე, ბასუხის კიცხემი ჩვენ ვიყვნეთ. ადელეთი ფასი სრული და უნაკლული, რათაც ჩვენი ცული შეგკერდებოდა. არაფერისათვის არა დარჩომილა რა ჩვენსა და შენს შუა არც ერთის იოტის ფასი. ეკლიდე და გიმენარეთ დ ნ... არათ ამისი მოწამენი: ჩვენი კახეთი რიან, ამისი ძმა ალთა ლიდ, ჩემი კახეთი ათარა, სვიმონ, თარხანი, ლეკარ(ს)ან მდა დებული, სახლთ-უხუცესი ამაღარ □, ამის ძმა მდგომი სოდომან

□, ჭამი სახლთ-უხუცესი ჭკუჭიაშვილი, ნახიაშვილი მღვდელი იესე, და სულ სოკვახიანი ჯიხაურშვილნი, მსახურნი და გლეხნი. თვესა მაისს კ ქვს უაჲ. დაიწყრა სიგელი ესე ქალაქს კახეთისა ციხესა ქართლისა. მე ქაიხოსრომ მამიაძემ და ამ სიგელზედ ყაბულიც მაქუსა. + +.

269. სიგელი მეფისა ვახტანგ VI-ისა, 37,5×13,5 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუხსა მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1723, ენკენისთვის 20. ქ. ნებითა და შეწევნითა მრთაისათ ჩვენ, მრ^ჯვთავ ხმშტებულმა, მრ^ჯვთავ დამცარებულმა, მრ^ჯვთავ ცხებით გვირგვინოსანმან იესანმ, დავითან, სალომონიან, ბაგრატონიანმა(sic), მეფემ მეფემან, ბატრონმა ვახტანგ და ორსა მეძლეგრმა ჩვენმა, დედოფალთ დედოფალმა, ბატრონმა რუსუდან, მრ^ჯვთავ ხმშტებულმა, მრ^ჯვთავ დამცარებულმა ბარძიმან და სახურველმა ძემა ჩვენმან, მეფე ბატრონმა ბაქარ და ბატრონმა გიორგიმ, ესე წყალობაი წიგნი დაგიწერეთ და გებოძეთ თქუენ, ჩვენს შრომაზედ ფერად ნიშნისგრისა ემსი რვტიშვიდს ოთხსა და ძმასი შენსი ბაღუარს და შვილს თქუენსა სვიმონს, მომავალთა სახლისს თქუენისთა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ვახსა ჯვაზიშვილი ჩვენს სიმსახურზედ ვერცარ მოგუდა, ამისა ცოლი შენი და იეა, სარჩოდ შენს და გლეხები მიაცეთ, ან გლეხები თქუენ წყალობა გიქნეთ: სახლგზს ბეგითურიანისშვილი გიორგი, ბაზნის ჯოჯოხიშვილი გიორგი, ხალუგს(sic) ბაითაძე ბეჟან, ვალეგ ხალუგს ფეხიაშვილი ბასილა, იქც კაკახიაშვილი შერმაზანი, წერეოელიშვილი აესე, ესენი რასაც მამუღას მჭონებელი იყოს თქუენთვის და შვილთა თქუენთათვის გებოძებია ამ წესით: სახლგზის თქუენი და ტოტსად იყოს, ასიც შენ შეახსოვ და მამუღიც შენ ქონდეს. რაკუს სოფელმა მასი არ მოაშალოს, თქუენი და მა(ე)ტყვალოს, მამუღა და ეს კაცნი თქუენთვის სამკვდროდ გებოძებია ყოველის კაცის უცილებლად. ქონდეს და გაბედნიეროს ღ^მთ ჩვენსა ერთგულობასა და სიმსახურსა შეკან და არიგეს არ მოეშალოს. ჰკუ გაბძანებო,

კარასა ჩვენასა ვეკილ-ეუზარო და სხვანო მოსაქმენო, ჩვენი ბძანება და ნაშანი ოქვენცა ასრე დაუმტკიცეო, რა რეგაოც ამა ჩვენის ნაბოძებს ფარგანასა შიგა ეწერას. თვითაერ თანდგომასა და შეწევნისაგან ნურავან შეეცდებით. დაწერა ბძანება და ნაშანი ესე ქსე უაბ, ენკენისთვის გ, კალათა კარასა ჩვენასა მდივან-მწიგნობრას გიორგი სა. ვახტანგ (ჩართულათ).

განის აშიახე სხვა ხელით:

ქ. ეს ბატონას ბძანება ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია [სვიმონ].

მეორე მინაწერი სანახევროთ აოის დაცული:

[ეს ჩვენის ძმის [ბძანება ჩვენც] დაგვიმტკიცებია ...თვის ა.

□. მრგვალ ბეჭედს აწერია შუაში ხუცურათ: „იესე" და ირგვლივ: „ღმის მონა ვახტან მეფის ძმა, მსაჯულ მდეგი იესე".

270. ღვინის და ქერის წაღება და მისი ფასი, 8,6×11 სანტ., დიწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი. წერილი ეკუთვნის ჯავახიშვილების საბუთებს.

1724, მარტას 6. ქ. წაგიღე მე შერმაზანმა ზურაბისა დვინისაგან დიდა კოკითა კეკა ოცი, ფასი იქასი(ეც) ოცი მარჩიდა და ხუთი აბაზი. რაც ქერი უნდა წაგიღო, კიდი ხუთ შაურათ უნდა ჩაგვგდო, რაათასა კიდათა უნდა მომცეს. მარტას ვ, ქქს უაბ.

271. ნასყიდობის წიგნი პაპუნა დოქიძისა. 65×24 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე ძლიერ ლამაზი მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1724, ენრაღის 11. ქ. ღ[მა], რომელი ბარკლათაგან აოო, დაუსაბამო და დაუსრულებელი, ღ[მა] მხოდო, უფალი და შეუფუე, და კაცთა ცხოვრებისათვის ჯარცნა შეისხნა და ჯვარეზე თვს იდგა, რათა ჩვენ, დამონებულნი ეშმაკისაგან, გამოგვისხნა და მისა-

მგსს დღეს ადგა დაბეჭდილი სიფლავით და ადმაუწინა ზეცად მამართა სუფევად:-

ნებითა მრ-თისათა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა; მეოხებითა ყოველად უხრწნელისა, უმეტეს ყოვლისა ღირსებულისა დედებელისა ღმრთისმშობელისა და მარიამ ქალწულის მრავალთა; წმიდათა უკორცოთა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთათა მაქაელ და გაბრიელისათა; მეოხებითა ყოველად ქებულთა მოციქულთა: პეტრე, პავლე, ანდრია, ასპა, ყოველთა მოციქულთათა; წმიდისა წინასწარმეტყველისა და წინამორბედისა, ნათლის-მცემლისა იოანე ნათისა და სხვათა ყოველთა წინასწარმეტყველთათა: მოსე, ჰარონ, ელია და ელისეთათა; წმიდათა და მთავარმოწამეთა: გეორგი, დიმიტრი, ნიკოლოზი, ესტეფანეს და ყოვლისა ტაძრისა(sic) და ყოველთა წმიდათა ქალწულ-მოწამეთა: არონა, მარიანა, ბარბარა და რანიც წმიდანი ჩვენ-ქართა შინა სწორად და მოხსენებულ არიან, ზეცაერნი და ქუეყნიერნი, ამათა მოწამეობათა და შუამდგომლობათა ესე ნიშადობაი ბერი და საეკლესიო დაგწერეთ და მოგებეთ ჯუმს მეფემო მეფეს, ბატრონს ვახტანგისს და ძისა მისისა, მეფეს შვილიშვილს, და ძმისა მეფისა და ბიძისა ძისა კათალიკოზის-პატრიარქ დომენტიოს, საყუნოშეი არს სისენები და კურთხევა მათი, ამინ, ჩვენ, ჯვაჯაობის შვილმა ფარეშუშანიძემ და მამაჩვენა სახლისა ჩვენისათა, ესე რაჟი შენი დაიდ ბეგრა ჯალი ეგეშარით და ჩვენ ამოინის თეორას მოგეშა ვერ შეეიძლიით და მოგეიდეთ ჩვენი სიმკვიდრო ეშ ფარავჯს კალაკეტიანს დიდ ხასიათ თავისა შვილით, ბერუა და მამაჩვენი სახლისა მისანი, დღეს რასიც მქონებელნი არიან და დღეს წყიმეც, საკნათით, სითესით, ვენახით, წყლით, წისქვილითა, მთითა, ბარით, მარნით, სახლით, კარით, კალო-სიძძლითა, თავისის შესავალ-გასავლით, მისადგომ-მისადგომით, ყოველის სიმრთლიანის გზისით, კიდეც ამიზედ აქეს ცრაკალის თავს ჩემი სიხსირი ხიდიბენი თორმეტის დღისი სიზომით, კიდეც შარშეი ჩემი წილი შესიმდი ამ ხიდიბენისა, კიდეც ქიმქიაჯრეში ერთის დღის მიწა, ესეები ეყიდა მაგეითა თქუენ კათალიკოზის მიდარეოსეტის-ვენენის დაქმისა თავი, შვილსა შენსა დავითს და მამაჩვენის სახლისა თქუენი

სასო. ღ-თ გაბედნიეროსო, ნურაფდეს ნუ მოგეშალოსო არცა ჩემ-გან და არცა ჩემის სახლის-კაცისგან. გეთარება სხვის მოსვედეს გასოგებოდეს, შენც გერეო დაგემტკიცოს ღ-თ, და ვინცა და რა-მც კაცმან მოიდომოს ამის შლად კეღლეოს, მასმე რისხვა მაშ და ძე და სული წმიდა და ყოველთა მაისი წმიდანი და რანიც ამაში სწე-რიან; მასმე ედება ცეცხლი ბაჭიისა, წრეოდა კეიანისა, შიშთვალი თელსი, ფსკერი ჯოჯოხეთისა, ნურაოთმეა ნუ იქნების სხვა სულის მაისის; კერეშე არის სხისენებელი და მოსხსენებელი, ვინცა და რამც კაცმან ამისდა შლად კეღლეოს, ხოდო დამემტკიცებელი ამისი ღ-თ აკურთხოს და სუკუნეთგან უკუნისამდე, ამინ. არიან ამის შე-ვედგომელი და დამემტკიცებელი თვით ხოდო ღ-თი სუკუნო და ყოველნი მაისი წმიდანი, ზეცერნი და ქვეყნიერნი, ხოდო კეცთა-გან მოწყალენი: რიან, ჩემი ძმა *) □, ვფთხილდ, ჩემი ძმა □, ნა-კოდოზ ჯვეხისშვილი, ოთარი ჯვეხისშვილი, სვიმონ, ჩვენი სიძე, ჯვეხისშვილი □, თვითან ჩემი ხსნაურშვილი კემერულაძე მამუკა □, ბიუდვარდისშვილი ხიად, ბერისშვილი მდვდელი ითანესე, ბეჭდისს-შვილი გეორგი, ნანასშვილი მდვდელი იესე, ზეიწინაძე ბეჭდ. და მე დედოფალის კერის დეკანოზის იოვანეშის ძენი, მდაფან მწერეობა-მცალობელს, მდვდელს დ ა ვ ი თ ს დამიწერია და მოწყალება ვერ ამი-სი. დ ა ვ ი თ (ჩართულათ). დაიწერა სეკელი ესე თვესი ხერიდანა თერ ომეტესი. ქვს უ ი ბ.

ესრან ამისი დამფასებელნი და გამრაკეთი ესენ-ქალაქის მამასა-სლაისი ელასბარ და დიპუსშვილი პაპაჯანი + +.

272. ნასყიდობის წიგნი პაპუნა დოქიძისა, 62×24,5 სანტ., და-წერილია სქელ ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი გამოუცშვით.

1724, მაისის 1. ...ესე ამაერ უკუნისამდე ჯმთა და ხსნ-თა გასოგებელი, სამკვიდრო და სიბოლოო ნასყიდობის წიგნი შო-

*) ეს სიტყვა ზემოთ სხვა ხელით არის დაწერილი.

გუცათ ჩვენ, ჯავახიშვილმა როინ და შეილმა ჩემა*), შვილთა და შთამყვალთა სისხლისა ჩვენისათა მას ყამსს, იდგს დაგეგჭირა და მოგედგო შენ, ბატონის კათალიკოზის მოდარეთხუცეს დოქიეს ბაბუნასა და შვილსს შენს დავითს და ქაიხოსრო, მამაყვალთა სისხლის შენისათს, ყორდყს ჩვენი მემცედრე უმს მახსნაშვილი ბერი, მისი შვილი ბაბუა, ალიხსნა, დითისა, რამზს, ზურაბ მისის შვალებათა, დღეს რასც მამშვილს მჭონებული არის, წულათა, წისქვილთა, ვენათა, ვენაკეთა, სხდათა, ჭურეთა, მრნათა, სულრათა და სისუფლოთა. მითთა და ბერათა, მისს სიმრთლესნის სამძღვრითა, ვსზედ აქს ბრჭულის მაწე. ვაილე ოცი სრული და უკლებული, რაოც ჩვენი ბეული შესჯრდებოდს. გჭონდეს და გიბუნთეყრის დრო. ვინცა და რამინცა კაცმან მოისდომოს ამის შლად კედეის, მისმცა რისხვის დრო მაშა, ქე და სულა წმინდა, მისმცა ღმრთის გეორა გეზისა, შიშოვილი იყოსი, ძრწოდეს კაცნისა, დანთქმა დაიან და ბაბრანისა, და ნურაითმცა სინანულით ნუ იქნება სული მისი ჯოჯოხეთისაგან. ამის ამისი მოწმე ოყვლ დითა, კაცთაგან მოწმე ჩემი ძმა ყოანდალ □ და ეროსტი, ჩემი ბანყოფი ნიშდროზ და ოთარა, ჩემი სძე ჯავახიშვილი სეიმანი, მაღლაძე სიღოხუცესი(sic) ამიდბარ და ეროსტი, სოლომან მაღალიშვილი, მეგლობელი დითუნა, ბუღვარდიშვილი ზაალ, გამერელიძე მამუკა, ნაწილიშვილი მღდელი ისე. ჩემი მსახური მანოამძვილი ისე, ამირაშვილი ითანესე. დაიწერა სიგელი ესე მეფობასსა ცხენი ამიდღეზულის მეფის ყვ ტ ე ბ ე ს ა, ძისა მისისა ბ ა ქ ა რ ე ს ა, კათალიკოზობასა ბატონისშვილის დ ო მ ე ნ ტ ი ს ა, კილითა ბაქარის კრის დეკანოზის ტლაშაძის ი ა ს ე ს ი თ ა. დაიწერა მაის დამდეგს, ქჭსა უაბ როინ.

განის აშიაზე სხვა-და-სხვა ხელით:

ქ. ხრის ამისი მოწამე ოარხნა დეკისს.

ქ. ხრის ამისი მოწამე რატიშვილი ზურაბ.

273. სითარხნის წერილი ბატონიშვილის ხვარამზესი, 33×27,5

*) აქ ერთი სიტყვის ალაგია დატრვებული.

სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავი მოხეული აქვს. სიგელს ამტკიცებს მეფე ვახტანგ VI, ძმა ბატონიშვილის ხვარამზესი.

1703—1724. ... უსჩუქლოთა ზენახ [ძალთა ანგელოზთა; ...სვეტის]ცხოველისა და კვართისა სასუფლისთა და ათორმეტთა მთავარქულოთა, და წმიდის მოწამისა გიორგისთა და ყოველთა წმიდათა მღ^ოისთა; შეწყნარეთა მღ^ოისთა და მეოხებითა, ამა წმიდათა მოხსენებითა ესე სათხრხისა და წყალობისა წიგნი ჩვენ ანაშანი გაბოძეთ ჩვენ, ბატონისშვილმა ხ ვ ა რ ა მ ზ ე მ შ ე ნ, ჩვენს დახსნასა მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ს ბ ა ტ ო ნ ს, ასე რომე არც დაწს, არც მგარეს, ღ^ოთს მეტს შენთან კელი არა ჭქონდეს, და არა საკელმწიფო სათხოვარი, სარქმე და გამოსაღები და არა სამოურაო სარქმე და გამოსაღები, და არა ქვემოურა და არა ზემოურა სარქმე და გამოსაღები, არა მალი, არა ხარჯი, არა სიტყვაჟე, არა დაშქარ-სადარბაზი, არა დედი და არა ტოტა გამოსაღები, არასფერათანი არა გეთხოვებოდეს რა. შენთან არას დაწს და არცა მგარეს კაცს კელი არა ჭქონდეს ღ^ოთს მეტსა, მზახს და წყობას შეტი არა მოგედგეს რა, ამისათვის, რომ სანაში ტოტსაი გეყო, ჩემი მაჰმადელი მოსამსახურე იყო და, როდე მაუნდოველმა სოფელმა დღენი მამიდოს, წყალწყალში ერთს დღეს მდგმელს კაჰს გეწორვენებდე, ერთს ცხერს დჰკლეგდე, მის ხორცსა და დენთს დახრჯეგდე, სინთლის ჩამოარეგებდე, ასე ადჰს გადეგანდედე, შენცა და შენს უკან ჩენმა შვილმაც ასე ადჰს გადეგანდედეს, და მომავალთა სახლის შენისათა, და ჩემი ნასიკედი ვარეთ უბანს ბურჯ ქვაშ სახლიც შენთვის მომატება და მომავალთა სახლის შენისათვის და სიგელიც ამ სახლის შენთვის მომატეს, როგორ(ც) ამ სიგელში ეწერას, ისე მოასრულე. ვინც და რამც კელმწიფემა, ანუ დედმა, ანუ მგარემან ესე სათხრხისა და წყალობის წიგნი მოგიშალოს, იგიმც შეიშალების თვალ სჯულისა და სახისაკენ, ჩვენც ხიცვდად ტოდვათვის ეგიმც განაგეთხვის დღეს მას დიდს განგეთხვისას, ნურათიმც ნუ ახსენებენ ჯოჯოხეთისკენ სული მისი, მისმც რასხვს ღ^ოთ დაუსაბამო

და ეთვლენი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, მასშეც ეფიცა ცხენსა გუენისა, ძოწოდა კუენისა, შიშოვდი იყვსა, ვინცა მოგიშვლოს; დამტკიცებული ამისი დ-თნ აგურთხის და დამტკიცოს სიგრძესა შინა დეთასა ამას სოფელსა და მას სუკუნესა. დაწერა კელითა დედოფლის კარის დეკანოზის ათანასისშვილის დ ვ ი ო ა-სათ ბატონიშვილი ნეარაზე.

განის ამიაზე სხვა ხელით:

[ეს] გურთხეულის ბატონის ჩუენის დის სათრხნე, ბაყს გარდა, ჩუენც ამგვარად გებიძნებია. გ ა ხ ტ ა ნ გ (ჩართულათ).

274. წყალობის წიგნი რუსუდან დედოფლისა, ვახტანგ მეექვსის მეუღლისა, 34,5×19 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია თითო, ორ-ორი და სამ სამი წერტილი.

1707, თებერვალს 25. ქ. ესე წყალობისა წიგნი და საგელი შეგეწყალეო და გებოძეო ჩუენ, დედოფალი დედოფალ-მან, პატრონმან რ უ ს უ დ ა ნ, პირშუმან და სასურველმან ქმან ჩუენმან, პატრონმან ბ ა ქ ა რ თუენ, ჩუენის კარის მდრდელს ნ ა ო ბ ს, შეიდს შენს ზ ე ტ რ ე ს, გ ი ო რ გ ი ს და ი ა ვ ნ ბ ს, ასრე რომე შეიდიანი კაცი იყაოთ და ერთი კაცის სისხლისა და სიძიძილ-კაცის ალაგს დაგვეჯუნეთო, ჩუენცა მოგითხუილა ჭუენით და კალმა ჩ უ ხ უ რ შ ი, შენისაც სიმაძრის ნაჭონა ცოტა რამ ბეითალ-მანი ნაოკარი ალაგი იყოს(gic), რადგან ქალაქში მასი ნაჭონი სისხლ-კარი შენ გჭონდა, არცა გეს კედი ჭჭონდა და არცა გეს ეხელეფოდა, თვი-ნიერ შენსა, და რადგან შენის სიმაძრის ნაჭონი იყო, ჩუენცა გვიშია-ნეთ ჯუ და მოხსენება თქუენი, და როგორათაც შენს სიმაძრს დუ-არსებს ქონებოდეს, რასაც მზღურეთა და გზით, იმ გვარად შენ-თვის და შენთა შვილთათვის გეებოძებია. ქონდეს და გაიკნიერობს დ-თნ. ვინც ამაზე დაასხლო, შენდ ემად იყოს და სისჭენი ხათხა-ვარი და გამოსდება არა ეთხოვებოდეს რა, როგორათაც სხვას ჩუენს კარის მდრდლებისა, აქ მსახლობელი ემებოს არა ეთხოვების რა, ასრეც შენს ემს არა ეთხოვებოდეს რა. ესე ასრე გაეთავდეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა შეპატრონეთაგან, ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შინა. ქნს ტჟე. დაწერა საგელა და წულობაის წიგნი ესე თაბაოთვის კ ე. | რუსუდან |.

მონა ღთისა სახლთ-
ხუცესი თეიმურაზ |.

275. წერილი მეფისა ვახტან VI-ისა. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ლურჯ ქაღალდზე დაწერილი იერომონახის იოსტოს მიერ და შემოწმებული სხვებთა მიერ.

1703—1724. ქ. დანიშნეთ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე სრულის შვილო მ ა მ უ ლ ო ს! თქვენ რომ შემოგვხედეთ, ჩვენს სახლში ჩვენმა უფროსმა ბაძამ ვ ა ხ ტ ა ნ მ თავისი სუფრასთა და თავისი წილი სუფრასთანათ ძმების დაგვიყარეგა, ჩვენს სახლში სუფრასთა ადრე ადებულიყო და თქვენს ძმას ი ე ს ე ს და თქვენც წილი გაბაძებიათ. მე ასე ვიათხარათ, როგორც თქვენს ბაძას, კურთხეულს პაპუნას გურიაგებია თქვენში სუფრასთას სუდებლობა, მეც ამის გარიგების არ მოგეშლე, მე ამისა გარიგებული და თქვენი პირობა ადრე მახსოვდა, რადგან თქვენ ერთმანერთში პირობა გქონიათ, ასეც ან თქვენი პირობა უნდა დამტკიცდეს. თავად ღ ა ნ ე ნუ ქნას თქვენის სახლის გარა, და თუ რადასმე მოხდეს, ან თქვენ და ან თქვენი შვილები გაიყარონენ, როგორც ერთმანერთში პირობა ვიქვსით დადებული და წერილები, ასე უნდა გაიყარნეთ. თქვენში სუფრასთას და სუმტრასთას ადება არავისგან იქნეს, არც ჩვენს დროში და არც შემდგომში ჩვენსა | ვახტანგ |.

მე ამის უწმიდესობის იერომონახის იოსტოს ნიშდვილს ასლსა გარდვსწერე უმეტ-ნაკლოთ, ფეიერვალის ო, წელსა ჩიო. ი ო ს ტ ო ს (ჩართულათ).

ამისი ნამდვილი ჩვენთან არის. სტატსკის სოვეტნიკი თავადი ელიაზარ ფალავანდოვ. თ ა ალექსანდრე მაყაშვილი. თავადი ასლან ვაჩნაძე.

276 ნასყიდობის წიგნი გლურჯიძისა, 17,5×16,5 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახ-

მარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ რადგანაც წიგნი დაწერილია ცნობილის მღვდელის იესე ტლაშაძის მიერ, ამიტომ დაახლოვებით იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც ეკუთვნის წინეთ მოყვანილნი სიგელნი (იხ. ზემოთ გვ. 298, 234[1]. 1725 წელს იესე ტლაშაძე კათალიკოს დომენტი მესამეს გაჰყვა სტამბოლში.

1719—1724. ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, გლურჯაძემ ნაზუაძმა, ნიკოლოზს და იოანეთმ შენ, ჩვენს ბაძს სვამს და ვმარანს, ასე და ამა პირსა ზედა, ჩვენი კერძო ტენს ყანაი სოფელს მესპმედი შენთვის დაგვინებიეა, თუ გინდა გყიდე, როგორც შენ გინდოდეს, ასე მოახმარე. ამის სანუმად ქმესას თუმნის მამული ჩვენ აგვადეა. ის ყანაი ვისცა გინდა, ამას მიეადე. ჩვენ კიდა აღარა გვაქვს. დ(ათს) თაგდებიეთ ასე გაგვარეგუეა, ვინც ერთმანერთს შეეცილნენ და წაელანძნენ, ყურ ათას დ(ათს) შემცოდე, შენმე ქართველის ბატონისა. პირს ამისი მოწმე დატრაზილი(ვიც) იოსებ, ვეხიაშვილი ძანმე, თავდებიშვილი შერმაზან, ჩვენი ემა ბეჟიტაშვილი, მდგელი ეტრე. მე ივს ტლაშაძეს მდგელს დამაწერა და მოწმეც ვარ ამისა. + +.

277. ნასყიდობის წიგნი ყაზარიშვილის ჰაროსი, 13×8 სანტ., დაწერილია ეტრატზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1725, დვანობისთვის 12. ქ. მე დავითა შვილი ასლანა მოგეცი ეს ნასყიდობის წიგნი შენ, ვახტანგ შვილი ჭყონდისა, ასე რომ ჭეშ ჭანახის გახის მაწყ ერთი დღისა ჩემი ნებით მოგეყიდე, ხელი პირის აქ. ჩემი ცოლის ეკი თუ ვინმე ეცდებოს, ხასუხი(ს) მომცეს მე ისიანი ვიყო. პირს ამისი მოწმე თავით დწერაი, კაცითსცან(ვიც) კირკოხისშვილი ფხრეშუმ და ბერუხისშვილი დეთა და სალუქისშვილი ბაბუა, და ოქინაი ოქინ, და ჭანუსისშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამდა. მე ვართანამ(sic) დამიწერა და მოწამე ვარ. დაიწერა დგინობისთვის იბ წელსა, ქრსჲ ჳიგ.

278. ნასყიდობის წიგნი ფილიპე მღვდლისა, 44,5×32,5 სანტ., დაწერილია სქელ ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი გამოცუშვით.

1725, ივნისის 27. ...ესე...ნასყიდობაჲს წიგნი და სიგელი მოგჳც მე, თ ა ვ ა შ ვ ი ლ მ ა დ ი მ ი ტ რ ი მ, შვილმა და მამაჟამსა სახლობასა ჩემისამან შენ, ყოფლადნაშვილებელს სრულად ღუარსპიტის ჯვრის მდგელს ფ ი ლ ი პ ე ს და შვილსა შენსა ე ლ ი ა ზ ს, ასე რამე დამეშვრა და მოგეკიდე ჩემი სამყოფლო დ ხ ა ჭ ე ტ ს დარბაზშიდელს საკომლო მამული მოწა და ამის კარდა ჩემი ნაზურვეი მისის ნაგუზნარებით(sic), თუთხრეობა, სუწეისებრობა და სიწისქვილობა, მისის სათიბითა და მინდურეობა(sic), მთითა და ბარითა და ყოველის მისის სამრთლიანის სამძღვრითა, დღეს რისაც მქონებელი ყოფილოს, სახლ-კარითა, შესვლითა და გასვლითა და მისის სასოფლოთა. ჯიდეო ფასი სრული და უძლებელი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. გქონდეს და გაბედნიერონ ღ~თ, რაგორათაც სხვას ადამს მონასიყიდს მაჭკმბრებოდეს. თუ ამისი მოდაგჳ და მტერობელი ვინმე გამოჩნდეს, ბერისა და ბასუხის მიმცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე ჩემი განუყოფი ქაიხოსრო, ზაზუნაშვილი გიორგი, ქვითარიშვილი გიორგი და ზაზა, ცხნარს ბედიაშვილი მდგელი იორდანე +, მისი განუყოფი თუჯდარე, ამირანაშვილი ოქრუჯ. ფილიპეთის დეკანოზი ნაგოდაზე, მესტუმრიაშვილი ბერუა, დრეკელაშვილი ოტია, დიუურეთის დეკანოზი, მდგდელი დავით მანგულაშვილი, დეკანოზი, მდგდელი დავით, თეკდორაშვილი გიორგი. თუ ამისდა ქცევად და შლად კელ-ყოს ვინმე, მასმცა რასხვის დასაბმა, დასრულებული ღ~თი და ყოველნი მისნი წმიდანი, მასმეს ქედების გეთრი გეზასა, შიშოვილი იყვასი, შეხ-დატეხილობის დაოსვრესი, დანთქმა დათან და ბიორანია და ხურთათმც აქნება ხსნა ხვედასი მასთანა, ხოდა დამშტკიცებული ამისი ღ~თ ჰყურთხნეს. დაიწერა წიგნი ესე თვესა იენისსა კზ, ქრსჲ ჳიგ; კარისა თქუენისა წანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვრის იობის ძმისწულს ბ ა ვ ლ ე მცხლობელს დამიწერია თბილისის ქალაქსა და მოწმეც ვარ ამისა [მონა ღმრთისა დემეტრე].

279. ნასყიდობის წიგნი ელიზბარ გოსტაშვილისა, 44,5×24 სანტ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნაწნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

